

უსაფრთხოების პოლიტიკის სტანდარტები და
საქართველოს პრაქტიკული ეროვნული უსაფრთხოება

დიანა ინანაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

დიანა ინანაშვილი

20.06.2014წ.

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, სადიპლომო ნაშრომის თემატიკით დაინტერესებისა და თემის მომზადების პროცესში განეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო-აკადემიურ ხელმძღვანელს - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ დავით დარჩიაშვილს. სამი სემესტრის განმავლობაში ჩვენმა აკადემიურმა თანამშრომლობამ განაპირობა ჩემი, როგორც მაგისტრანტის, სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებით დაინტერესება და შემდგომი კვლევა.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევითი პროცედურების პრაქტიკულ უზრუნველყოფაში ხელშეწყობისა და დამხმარებისთვის, აგრეთვე, მადლობას ვუხდით ჩემს სამსახურს - სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას და მის რექტორს - ბატონ ზურაბ აგლაძეს. რომ არა აკადემიის ხელმძღვანელობის ნებართვა და ხუთასამდე სამხედრო მოსამსახურის გამოკითხვის შესაძლებლობა, წინამდებარე ნაშრომს დააკლდებოდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში ერთობ პოპულარული რაოდენობრივი კვლევის კომპონენტი.

მსურს, ასევე გულწრფელი მადლობა გადავუხადო რესპონდენტებს, რომელთაც მომცეს საშუალება, სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ყოფილიყო თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიაც. ჩემ მიერ უსაფრთხოების პოლიტიკის კვლევის პროცესში ინტერვიუს სახით მონაწილეობა მიიღეს ქვემოთ ჩამოთვლილმა სახელმწიფო მოხელეებმა და ექსპერტებმა, რისთვისაც გამოვხატავ მათ მიმართ მადლიერებას:

- ✓ მიხეილ დარჩიაშვილი - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- ✓ თეონა აქუბარდია - საქართველოს უშიშორების საბჭოს მდივნის მოადგილე;
- ✓ ნოდარ ხარშილაძე - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

- ✓ ეკატერინე ტყეშელაშვილი - საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის პრეზიდენტი;
- ✓ ირაკლი მენაღარიშვილი - სტრატეგიული გამოკვლევების ცენტრის დირექტორი.

ვთვლო, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მიღებული გამოცდილება ერთ-ერთი შრომატევადი და საუკეთესო პრაქტიკაა ჩემი, როგორც პოლიტიკის მეცნიერების - საერთაშორისო ურთიერთობებისა და ეროვნული უსაფრთხოების მკვლევარის, პროფესიული ზრდისა და განვითარების გზაზე.

აბსტრაქტი

1942 წელს აბრაამ მასლოუს მიერ შექმნილ „ადამიანური მოტივაციის თეორიაში“ ადამიანის მოთხოვნილებების პირამიდის პირველად საფეხურზე ფიზიოლოგიურთან ერთად უსაფრთხოების მოთხოვნილება განიხილება. უსაფრთხოების ძიება ადამიანის ჩვეულებრივი ბუნებრივი ინსტიქტია. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყველა ინდივიდი ფიქრობს და იბრძვის უსაფრთხოებისთვის. ლოგიკური ჯაჭვი მარტივია: პირადი უსაფრთხოება - ოჯახის უსაფრთხოება - ქვეყნის უსაფრთხოება.

თუ გადავხედავთ მსოფლიო ისტორიას, დავინახავთ, რომ სახელმწიფოების არსებობა მეტოქეობის, გადარჩენისათვის ბრძოლის და უსაფრთხოების კონცეფციის შექმნის ისტორიაა. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი მაგალითია საქართველო, რომელიც მუდმივად საფრთხის წინაშე იდგა; ამიტომაც არის, რომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება ყოველთვის უზენაეს პრიორიტეტადაა მიჩნეული.

წინამდებარე ნაშრომი კვლევის ანგარიშს წარმოადგენს და განიხილავს უსაფრთხოების პოლიტიკის სტანდარტებს, ეროვნული უსაფრთხოების კულტურას, უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების პროცესს და საქართველოს პრაქტიკული ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართებას ყოველთვის ზემოთ ჩამოთვლილთან. კვლევის მიზანია დამტკიცება იმისა, რამდენად სწორად ყალიბდება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა და არის თუ არა მიახლოებული უსაფრთხოების აღიარებულ სტანდარტებს.

კვლევამ გამოკვეთა საქართველოს სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეები და გამოწვევები, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები და ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც ყალიბდება/უნდა ყალიბდებოდეს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 500 (ხუთასამდე) სამხედრო მოსამსახურემ, აგრეთვე, უსაფრთხოების სექტორში დასაქმებულმა საჯარო მოხელეებმა და ექსპერტებმა.

კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაში ნომერ პირველ პრიორიტეტს წარმოადგენს სუვერენიტეტის/ტერიტორიული მთლიანობის დაცვის აუცილებლობა და საქართველოს სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევებიდან მთავარ საფრთხედ რჩება რუსეთის ფედერაციის მიერ ქართული მიწების ოკუპაციის პრობლემა; ხოლო გამოსავალი, რომლითაც შესაძლებელია არსებული გამოწვევების გამკლავება - არის უსაფრთხოების აღიარებულ სტანდარტებთან დაახლოვება, რადგან აღნიშნული სტანდარტები აუმჯობესებს, აძლიერებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემას.

საძიებო სიტყვები: საქართველო, ეროვნული უსაფრთხოება, საფრთხეები, რისკები, სახელმწიფო ინსტიტუტები, უსაფრთხოების სტანდარტები.